ხელშეკრულება №36
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი

14 ~~ექვსმეტი~~ 2018 წელი

ერთის მხრივ ხონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის ლადო ჯურხაძის სახით და მეორეს მხრივ სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპს ნანი ომანაძე" წარმოდგენილი ნანი ომანაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი) ორივე ერთად წოდებულნი, როგორც „მხარეები" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეტუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყევების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში პროფილაქტიკის მიზნით თვალყური ადევნოს და ობიექტის მავნე მღრღნელებისა და მწერების დასენიანების შემთხვევაში, აწარმოოს ხარისხიანად, ეფექტური შხამ-ქიმიკატებით - სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოები (CPV 90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება) ხელშეკრულების პირობების თანახმად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300.00 (სამასი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების საფუძვლზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლბამოსილ პირებს წარმოადგენენ ხონის მუნიციპალიტეტის მერი - ლადო ჯურხაძე და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

4. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

4.1 მომსახურეობის გაწევის ადგილია ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6

4.2 მომსახურეობა განხორციელდა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურეობა სათანადო ხარისხით.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

6.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

7.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5 მხარე ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარ ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ორი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ხონის მუნიციპალიტეტი	სპს „ნანი ომანაძე“
ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6	ქ. ხონი, სოლომონ II ქ. N9
საიდენტიფიკაციო კოდი: 244961225	საიდენტიფიკაციო კოდი: 244968727
სახელმწიფო ხაზინა	სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი - TRESGE22	კოდი: LBRTGE22
მიმღების ანგარიში - 200122900	ა/ა GE74LB0117160356437000
ხონის მუნიციპალიტეტის მერი ლადო ჯაფარიძე	სპს „ნანი ომანაძე“-ს დირექტორი ნანი ომანაძე

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ხონი 14 თებერვალი 2018 წელი

ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელება არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხონის მუნიციპალიტეტის მერი: ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის

მეორადი სტრუქტურული ერთეულის
შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური
უზრუნველყოფის განყოფილების პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: მაია წვერავა